ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

თავი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში სტუდენტური თვითმმართველობა) არის სასწავლებლის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, ახალი უმაღლესი სასწავლებლის შიდა რეგულაციებით და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

2. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

მუხლი 2.

სტუდენტური თვითმმართველობა შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან. არჩევნები ტარდება საშემოდგომო სემესტრში ოქტომბრის ბოლო პარასკევს.

მუხლი 3.

სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა სასწავლებლის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 4.

სტუდენტური თვითმმართველობა ვერ გამოაქვეყნებს, გაავრცელებს ან გამოაკრავს განცხადებებს უმაღლესში ან მის გარეთ, სასწავლებლის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ქმედება განხილული იქნება, როგორც დისციპლინის დარღვევა.

მუხლი 5.

სტუდენტურ თვითმმართველობას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ღონისძიებებში. ის არ არის უფლებამოსილი ჩაიდინოს ქმედება, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება უმაღლესი სასწავლებლის სახელსა და პრესტიჟზე; თუ ასეთ ფაქტს ექნება ადგილი, ეს განიხილება როგორც დისციპლინარული დარღვევა და სტუდენტური თვითმმართველობის ძალაუფლება შეჩერებული იქნება დროებითი ვადით, რომლის ხანგრძლივობასაც განსაზღვრავს ახალი უმაღლესი სასწავლებელი.

მუხლი 6.

სტუდენტური თვითმმართველობის ადგილსამყოფელია თბილისი, ჭყონდიდელის ქ.N26

თავი II

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები და უფლება–მოვალეობები

მუხლი 7.

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები როგორც სასწავლებელში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში;

გ)დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში;

დ) ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას;

ე) გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება;

ვ) ხელი შეუწყოს სტუდენტთა მობილობის პროცესს;

ზ) ურთიერთობები დაამყაროს და გააღრმავოს სხვა უსდ-ების სტუდენტურ თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან;

თ) უზრუნველყოს სტუდენტები თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში ყველა საჭირო ინფორმაციით და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სასწავლებელში ახალი სტუდენტების სოციალიზაციის პროცესში.

მუხლი 8.

სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

ა) იცავს და წარმოადგენს სასწავლებლის სტუდენტთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ბ) უზრუნველყოფს სასწავლებლის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებას;

გ) გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სტუდენტთა დასვენების, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო–სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კანონით ნებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს.

დ) პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას სასწავლებლის ხარისხის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით.

მუხლი 9.

სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) უმაღლესი სასწავლებლის ბიუჯეტი;

ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

გ) სხვა კანონით ნებადართული შემოსავლები.

თავიIII

სტუდენტური თვითმმართველობის წევრი

მუხლი 10.

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი არის ამავე დებულებით დადგენილი წესით სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული სტუდენტი.
2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ სასწავლებლის სტუდენტი, რომელიც იმავდროულად არ იკავებს სასწავლებელში რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას.

მუხლი 11.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.

მუხლი 12.

1.სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული წევრების პირველი შეკრებისთანავე.

2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასწავლებელში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება;

გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

დ) სასწავლებლის წესდების ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;

ე) არასაპატიო მიზეზით სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ სამი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა.

მუხლი 13.

თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს საერთო კრების მიერ, იმ პირთაგან არჩეული კანდიდატი, რომელმაც არჩევნების დროს ვერ მიიღო არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაოდენობა.

მუხლი 14.

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოს მუშაობაში;

ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;

გ) აირჩიოს და თავად იყოს არჩეული სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოში;

დ) დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებით მიმართოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოს;

ე) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

ვ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;

ზ) განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:

ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) დაიცვას სასწავლებლის და სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

გ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უმაღლესი სასწავლებლის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

დ) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;

ე) დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს.

თავი IV

სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა

მუხლი 15.

სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და ვიცე–პრეზიდენტი;

გ) კულტურის და საგარეო ურთიერთობების კომიტეტი;

დ) ტურიზმის კომიტეტი;

ე) განათლების კომიტეტი;

ვ) შიდა საკითხების კომიტეტი;

ზ) სპორტის კომიტეტი.

მუხლი 16.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოა.

მუხლი 17.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისაგან;

2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება იკრიბება წელიწადში ორჯერ;

3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს ეცნობება საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი დღისა.

მუხლი 18.

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე სხდომას მოიწვევს:

ა) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი წევრების არანაკლებ ¼–ის მოთხოვნით.

მუხლი 19.

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

მუხლი 20.

სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება:

ა) სრული შემადგენლობის 2/3–ის უმრავლესობით იღებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას, ამავე უმრავლესობით შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ბ) სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს;

გ) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტს;

დ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე–პრეზიდენტს;

ე) ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყვეტს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს;

ვ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, დამსწრეთა შემადგენლობის უმრავლესობით, იღებს დადგენილებებს, რომლებსაც ხელს აწერს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;

ზ) ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის მიზნების მისაღწევად „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონით, უმაღლესი სასწავლებლის წესდებითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 21.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც თავმჯდომარეობს საერთო კრების სხდომებს და წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 22.

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა სტუდენტთა მიერ 2 წლის ვადით სასწავლებელში სტუდენტთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

2. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის წევრების არანაკლებ 1/5–ს.

მუხლი 23.

1. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა არჩევისთვის ხმათა საკმარისი რაოდენობა ან სასწავლებლის სტუდენტთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა არ გამოცხადდა არჩევნებზე, ერთი თვის ვადაში ინიშნება მეორეტური, რომელშიც კენჭი ეყრება ორი საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატს; მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო სასწავლებლის სტუდენტთა სრული შემადგენლობის მინიმუმ 30 %–მა.

2. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობს ერთი კანდიდატი, რომელიც ვერ დააგროვებს არჩევისთვის ხმათა საკმარის რაოდენობას, 5 დღის ვადაში ტარდება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 24.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შეიძლება იყოს სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული წევრი,რომელიც არის საქართველოს მოქალაქე.

მუხლი 25.

1. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე.

2. ახალი პრეზიდენტის არჩევისთანავე წინა მოწვევის სტუდენტურ თვითმმართველობას უწყდება უფლებამოსილება.

მუხლი 26.

1.სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

გ) მოქალაქეობის დაკარგვა;

დ) იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება.

2.პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს ვიცე–პრეზიდენტი.

მუხლი 27.

საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი სასწავლებლის წესდების ან/და ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა არანაკლებ 1/3–ს შეუძლია დაიწყოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა და დარღვევის ფაქტები გადასცეს საერთო კრებას, რომელიც დარღვევის დადასტურების შემთხვევაში კენჭს უყრის პრეზიდენტის გადაყენების საკითხს. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ საკითხს მხარს დაუჭერს საერთო კრების შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

მუხლი 28.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი:

ა) ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას;

ბ) დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებას;

გ) უძღვება საერთო კრების სხდომებს;

დ) ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების თარიღს მოქმედი თვითმმართველობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა;

ე) საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე–პრეზიდენტის კანდიდატურას;

ვ) უფლებამოსილია გადააყენოს ვიცე–პრეზიდენტი;

ზ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით იღებს განკარგულებებს;

თ) ახორციელებს ამ დებულებით გაუთვალისწინებელ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან/და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

მუხლი 29.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვალდებულია დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის წევრისთვის აუცილებელი მოთხოვნები.

მუხლი 30.

უფლებამოსილების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს ჰყავს ვიცე–პრეზიდენტი.

მუხლი 31. დასკვნითი დებულებები

დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლებლის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.